05/05/2026

MES 6 26 0000529818

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის ოქმი

ქ. თბილისი
სხდომის თარიღი: 21.04.2026
სხდომის დაწყების დრო: 14:09
სხდომის დასრულების დრო: 16:06
საბჭოს თავმჯდომარე: ლევან შავაძე - II, III, IV, V, VI, VII, VIII საკითხები
სხდომის თავმჯდომარე: ციური დურული - I საკითხი
საბჭოს მდივანი: ვაჟა კელიხაშვილი - I საკითხი
სხდომის მდივანი: ქეთევან ნანობაშვილი - II, III, IV, V, VI, VII, VIII საკითხები

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2011 წლის 4 მაისის №65/ნ ბრძანებით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის დებულების" (შემდეგში-აკრედიტაციის დებულება) 27^2-ე მუხლის მე-13 პუნქტის საფუძველზე საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს სხდომა ჩატარდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების, პროგრამა - Zoom-ის გამოყენებით.
საბჭოს სხდომაში მონაწილე ყველა პირმა თანხმობა განაცხადა, რომ დისტანციური ფორმით მიეღო მონაწილეობა საბჭოს მუშაობის პროცესში.

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის (შემდგომში - ცენტრი) წარმომადგენლები:

ქეთევან ინანაშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის მოადგილე;
თამთა მოხევიშვილი - უმაღლესი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი.

საგანმანათლებლოპროგრამებისაკრედიტაციის(შემდგომშისაბჭო)სხდომაზედამსწრე წევრები:

1. ლევანშავაძე- სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის აგრარულ საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის ასოცირებული პროფესორი - საბჭოს თავმჯდომარე;
2. ქეთევანაფთარაშვილი- შპს - აღმოსავლეთ ევროპის უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებების ფაკულტეტის დეკანი - საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე;
3. ვაჟაკელიხაშვილი- ა(ა)იპ - საქართველოს სტუდენტური ორგანიზაციების ასოციაციის სტუდენტთა უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის მენეჯერი - საბჭოს მდივანი;
4. ელიზბარელიზბარაშვილი- ა(ა)იპ - საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ბიოტექნოლოგიის სკოლის დეკანი;
5. დავითკაპანაძე- სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის უფროსი, ინფორმატიკისა და მართვის სისტემების ფაკულტეტის პროფესორი;
6. თეამჭედლური- შპს ,,უნივერსიტეტი ალტერბრიჯის" ხარისხის სამსახურის კონსულტანტი;
7. ირინალობჟანიძე- სსიპ - ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ლინგვისტურ კვლევათა ინსტიტუტის დირექტორი, მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ენისა და ლიტერატურის მიმართულებით პროფესორი.
8. მაქსიმიავიჩი- შპს კავკასიის უნივერისტეტის პროფესორი, კიბერუსაფრთხოების ცენტრის ხელმძღვანელი;
9. მზიაწიკლაური- შპს - გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის ასოცირებული პროფესორი;
10. ნარგულიასანიძე- სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ტექნოლოგიური ფაკულტეტის აგროეკოლოგიისა და სატყეო საქმის დარგობრივი დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი;
11. ქეთევანნანობაშვილი- შპს - კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი, ბიზნესისა და ტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანი;
12. ციურიდურული- სსიპ - გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის პროფესორი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსი;
13. ნათია იორდანიშვილი - საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს უფროსის მოადგილე
14. ვლადიმერადეიშვილი- სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის სწავლების მეთოდიკათა დეპარტამენტის ასოცირებული პროფესორი, პედაგოგიური ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
15. ქრისტინე ახალაძე - საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსი

საგანმანათლებლო დაწესებულების წარმომადგენლები:

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

1. შოთა ფოთოლაშვილი - ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
2. ნინო ქიმერიძე - ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის აკრედიტაციის

განყოფილების უფროსი;
3. მანანა შამილიშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის მოადგილე;
4. თამარ დოლბაია - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
5. მარეხ დევიძე - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხარისხის სამსახურის უზრუნველყოფის უფროსის მოადგილე;
6. თამარ ჯახუა - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი სპეციალისტი;
7. ნინო შატბერაშვილი - სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ლელა თურმანიძე - განათლებისა და მეცნიერების ფაკულტეტი, დეკანი;
ვლადიმერ ღლონტი - ცენტრალური ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნანი მუმლაძე - ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ლელა თავდგირიძე - ზუსტ მეცნიერებათა და განათლების ფაკულტეტის პროფესორი.

სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ნინო მოდებაძე - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, დეკანი;
სალომე თათულიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
შორენა ძამუკაშვილი - განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი, განათლების მეცნიერებათა დოქტორი;
ირინე დარჩია - აკრედიტაციის ექსპერტი, გაეროს ბავშვთა ფონდი;
ანასტასია მშვიდობაძე - გაეროს ბავშვთა ფონდი.

შპს კავკასიის უნივერსიტეტი
დიანა მჭედლიშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნინო ჟიჟილაშვილი - პროგრამის ხელმძღვანელი.

სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი
მაკა ბერიძე - უნივერსიტეტის რექტორის მოადგილე;
ნინო მილაშვილი - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
დავით ხობელია - პროგრამის ხელმძღვანელი;
ცისკარა ზარანდია - პროგრამის ხელმძღვანელი;
ნანა ჯღარკავა - ბიზნესის ადმინისტრირების ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი;
ნუგზარ თევდორაძე - იურიდიული ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ევროპის ცენტრალური უნიერსიტეტი
სოფიო ხუნდაძე - ვიცე - რექტორი ხარისხის განვითარების მიმართულებით;
თათია ხარაბაძე - ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი.

შპს ალტე უნივერსიტეტი
ირმა გრძელიძე- ვიცე - პრეზიდენტი აკადემიურ საქმეთა და კვლევების მიმართულებით;
ანი ამირანაშვილი- ვიცე - პრეზიდენტიმარკეტინგისა და ბიზნესის განვითარების მიმართულებით;
თამარ მახარაძე- ვიცე - პრეზიდენტი ფინანსებისა და საოპერაციო მიმართულებით;

ნინოალავიძე- ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტის დირექტორი;
ირმა ნოზაძე- პროგრამების შესაბამისობის სამსახურის უფროსი;
სოფიო იდაძე- ადამიანების განვითარების და საქმისწარმოების დეპარტამენტის დირექტორი;
დავით კიკვიძე- ბიზნესის სკოლის დეკანი;
მიხეილ თოქმაზიშვილი-პროგრამის ხელმძღვანელი.

აკრედიტაციის ექსპერტები

I საკითხი
ჰეიკი ჰიილამო (Heikki Hiilamo)
ნინო კიკნაძე
თამთა წირქვაძე
ილია ბოცვაძე
ნათია გეგელაშვილი

II საკითხი
მაგდა მემანიშვილი
თინათინ გაბრიჩიძე

III - IV საკითხები
ნინო ფარსადანიშვილი

V-VI საკითხები
ვასილ კიკუტაძე

VII საკითხი
ეკა გეგეშიძე

VIII საკითხი
ეკა ლეკაშვილი

აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ციური დურულმა, ხოლო დანარჩენ საკითხებზე ლევან შავაძემ. ხოლო სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა პირველ საკითხზე შეასრულა ვაჟა კელიხაშვილმა, ხოლო დანარჩენ საკითხებთან მიმართებით ქეთევან ნანობაშვილმა. სხდომის თავმჯდომარემ შეამოწმა სხდომაზე დამსწრე საბჭოს წევრთა რაოდენობა და დაადგინა, რომ აკრედიტაციის დებულების 27^2-ე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სხდომა უფლებამოსილია, რადგან მას ესწრება საბჭოს წევრების სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. თავჯდომარემ საბჭოს წევრებს მიუთითა აკრედიტაციის დებულების 27^5-ე მუხლის მე-4 პუნქტის მოთხოვნაზე, რომლის მიხედვითაც, საბჭოს წევრი არ არის უფლებამოსილი, თავი შეიკავოს ხმის მიცემისგან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვის უფლებების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური ნომიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აჯარო მმართველობის" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "იზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
6. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

შუამდგომლობა დღის წესრიგის ცვლილებასთან დაკავშირებით
• არა

დამტკიცებული დღის წესრიგი:

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვის უფლებების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა ;
2. შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური ნომიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობის დადგენა);
3. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აჯარო მმართველობის" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
4. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
5. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "იზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

6. სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
7. შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;
8. შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა.

პირველი საკითხი: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვის უფლებების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ბავშვის უფლებები
საფეხური:მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბავშვის უფლებების მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:0929 სოციალური კეთილდღეობა – არაკლასიფიცირებული
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: ახალი

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადეს ლევან შავაძემ, თეა მჭედლურმა, ვლადიმერ ადეიშვილმა ნარგული ასანიძემ და ქეთევან აფთარაშვილმა.
თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებებსთან.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის თავმჯდომარის მოვალეობა შეასრულა ციური დურულმა.

სხდომის თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. სხდომის თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
სხდომის თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

პირველი საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
სხდომის თავმჯდომარემ აღნიშნა, რომ აკრედიტაციის საბჭო წარმმოდგენილი ახალი საკითხის განხილვას იწყებდა ახალი მეთოდოლოგიით, რომელიც გულისხმობს, პირველ რიგში, დაწესებულების მიერ ცენტრში ექსპერტთა საბოლოო დასკვნაზე მოსაზრებების წარმოდგენას, რომელიც ეგზავნება აკრედიტაციის საბჭოს და აკრედიტაციის ექსპერტებს. მეორე რიგში, საბჭო ეცნობა რა დაწესებულების პოზიციას, სააკრედიტაციო დოკუმენტებს და ექსპერტთა დასკვნას, საკითხის თანმიმდევრულ განხილვას იწყებდა საბჭოს წევრების მიერ წინასწარ მომზადებული კითხვების დასმის და პასუხების მიღების ფორმატში. აღნიშნული მიდგომა, მნიშვნელოვნად ამარტივებს საბჭოს სხდომის ზეპირი მოსმენის მიმდინარეობას და თავიდან არიდებს სხდომის მიმდინარეობის დაძაბულ ფორმატს, როდესაც, დაწესებულება კიდევ ერთხელ დეტალურად აჟღერებდა საბჭოს სხდომაზე თავის პოზიციას. ამ შემთხვევაში, თავის საბოლოო პოზიციას დაწესებულება საბჭოს წინაშე წერილობით ასაბუთებდა.

სხდომის თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს, წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარემ ჰეიკი ჰიილამომ (Heikki Hiilamo) აღნიშნა, რომ ვიზიტი კარგად იყო ორგანიზებული. ინტერვიუები გაიმართა თბილისში, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში, რომლებშიც ჩართული იყო ყველა დაინტერესებული პირი. ექსპერტების მხრიდან თავდაპირველად გაიცა ხუთი რეკომენდაცია. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, რეკომენდირებულია განახლდეს პროგრამა და დაემატოს 6 კრედიტიანი კურსი - კვლევის მეთოდები ბავშვის უფლებებში, სადაც ყურადღება გამახვილებული იქნება კვლევის რაოდენობრივ მეთოდებზე. შემდეგი რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების კვალიფიკაციას, კერძოდ, რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელობამ გადახედოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სიას და რაოდენობას და საფუძვლიანად გაანალიზოს პროგრამის აკადემიური პერსონალის პროფილები და CV-ები. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა აკადემიური კვალიფიკაცია და უახლესი სამეცნიერო საქმიანობა მკაფიოდ შეესაბამება ბავშვის უფლებების სფეროსა და კონკრეტულ საკვლევ თემას. შემდეგი რეკომენდაცია ეხება ლიტერატურას, კერძოდ პროგრამის დაწყებამდე პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უნდა უზრუნველყონ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული შესაბამისობა ინსტიტუციურ ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში არსებულ რესურსებთან. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები უნდა შეივსოს სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით, ან სილაბუსები უნდა გადაიხედოს ისე, რომ მოთხოვნილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის. ექსპერტის თქმით, უნივერსიტეტმა არგუმენტირებული პოზიცია წარმოადგინა რეკომენდაციებთან დაკავშირებით, რომლის გაცნობის შემდეგაც, ექსპერტებმა ამოიღეს რამდენიმე რეკომენდაცია.
ექსპერტთა ჯგუფის წევრმა, თამთა წირქვაძემ აღნიშნა კვალიფიკაციებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. უნივერსიტეტის პოზიცია იყო, რომ ისინი შემადგებლობიდან ზოგიერთ ლექტორს მიანიჭებენ თანახელმძღვანელის სტატუსს. ლიტერატურასთან დაკავშირებულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით არგუმენტირებულ პოზიციაში დაწესებულებამ აღნიშნა, რომ გადახედეს საბიბლიოთეკო ფონდს და შეასრულეს აღნიშნულ საკითხთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია.

ერთობლივი პროგრამის განმახორციელებელი უნივერსიტეტების მიერ წარმოდგენილი პოზიცია (წერილის ასლი)

"სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 08/04/2026 წლის კორესპონდენციის (MES 9 26 0000425221, შემოსული: 6776/10-02, 15.04.2026) შესაბამისად წარმოგიდგენთ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პოზიციას სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მაგისტრატურის ერთობლივი (თსუ, ბსუ, თესაუ) საგანმანათლებლო პროგრამის ბავშვის უფლებები აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ წარმოდგენილ დასკვნაში მოყვანილ ფაქტობრივ გარემოებებთან დაკავშირებით.
უნივერსიტეტების ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურში შემოსული აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნას გაეცნო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი და მმართველი კომისია, რომელიც მადლობას უხდის ექსპერტებს მათი მხრიდან ამ უაღრესად საპასუხისმგებლო საქმიანობისა და კოლეგიალური თანამშრომლობისთვის. ამასთან, დასკვნის პროექტში ასახული რეკომენდაციების შესახებ წარმოადგენს არგუმენტირებულ პოზიციას შესაბამისი განმარტებებით:

რეკომენდაცია N1: (კომპონენტი: 1.5 - სასწავლო კურსი/საგანი)
რეკომენდებულია, გადაიხედოს სილაბუსი და დაემატოს 5 ECTS კრედიტიანი კურსი ბავშვის უფლებების კვლევის მეთოდებზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა რაოდენობრივი კვლევის მეთოდებს.

ინსტიტუციური პოზიცია: ბავშვის უფლებების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაში არსებული კვლევის მეთოდების ორი სავალდებულო სასწავლო კურსი (ჯამში 10 კრედიტი), მოდიფიცირდება ორ დამოუკიდებელ, თუმცა თანმიმდებრულად აგებულ კურსად: პირველი კურსი - კვლევის რაოდენობრივი მეთოდები - კონცენტრირებული იქნება რაოდენობრივი კვლევის მეთოდების შესწავლაზე, ხოლო მეორე - კვლევის თვისებრივი მეთოდები - თვისებრივი და შერეული მეთოდით კვლევის შესწავლაზე. ორივე სასწავლო კურსში განსაკუთრებული ყურადღება დაეთმობა ბავშვებთან და მოზარდებთან მუშაობის ტექნიკებს, შესაბამის მეთოდოლოგიასა და ეთიკურ საკითხებს, მათთან მუშაობის სენსიტიურობას და მათი, როგორც თანამკვლევრების, მონაწილეობითი პრაქტიკის განვითარებას. აღნიშნული ცვლილება უზრუნველყოფს სტუდენტებისთვის როგორც რაოდენობრივი, ისე თვისებრივი კვლევის განხორციელებისთვის საჭირო კომპეტენციების სისტემურ განვითარებას, ბავშვებისა და მოზარდების მონაწილეობის სპეციფიკის გათვალისწინებით.
ამასთანავე, რაოდენობრივი კვლევის კომპონენტი დამატებით გაძლიერდება კვლევითი უნარების განვითარებაზე ორიენტირებულ სავალდებულო და არჩევით (ბავშვის უფლებები განათლების სისტემაში, ბავშვთა კეთილდღეობის ეკონომიკა და ბავშვთა მომსახურების ხარისხი) სასწავლო კურსებში.

რეკომენდაცია N2 (კომპონენტი: 4.2 - მაგისტრანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის კვალიფიკაცია)
რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელობამ გადახედოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სიას და რაოდენობას და საფუძვლიანად გაანალიზოს პროგრამის აკადემიური პერსონალის პროფილები და CV-ები. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა აკადემიური კვალიფიკაცია და უახლესი სამეცნიერო საქმიანობა მკაფიოდ შეესაბამება ბავშვის უფლებების სფეროსა და კონკრეტულ საკვლევ თემას.

ინსტიტუციური პოზიცია: ბსუ-ს (აკადემიური საბჭოს 2015 წლის 8 ოქტომბრის №111 დადგენილება), თესაუ-ს („სამაგისტრო ნაშრომის შემუშავების, გაფორმების, დაცვისა და შეფასების წესის შესახებ დებულება", დამტკიცებული 2022 წლის 28 ივნისის წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე, ოქმი №6) და თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ

მეცნიერებათა ფაკულტეტის სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესის (მუხლი 3) შესაბამისად, სამაგისტრო ნაშრომის შესრულების სრულ პროცესს წარმართავს ნაშრომის ხელმძღვანელი, რომელიც შეიძლება იყოს ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის წევრი ან/და შესაბამისი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის მოწვეული პედაგოგი, რომელთაც აქვს შესაბამისი კვლევითი და პრაქტიკული გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში აკადემიური პერსონალი ვერ დაიკავებდა შესაბამის პოზიციას კონკურსის შედეგად კონკრეტულ მიმართულებაში და ასევე არ მოხდებოდა მოწვეული პერსონალის შერჩევა საგანმანათლებლო პროგრამაში აკადემიურ პროცესებში ჩასართავად, რომლის წარდგენა და რეკომენდება ევალება პროგრამის ხელმძღვანელს ფაკულტეტის საბჭოს წინაშე. წინამდებარე განმარტება, რომელიც იკითხება ფაკულტეტის დებულებაში, გადატანილი იქნება ასევე დამატებით სამაგისტრო ნაშრომის საფაკულტეტო დაცვის წესშიც.
მაგისტრატურის საგანამანათლებლო პროგრამის ამოქმედების შემთხვევაში, პროგრამის მენეჯმენტი ისარგებლებს სამაგისტრო ნაშრომის თანახელმძღვანელობის მექანიზმებით, რასაც საწყისს ეტაპზე ასევე ითვალისწინებს პროგრამის თანამშრომლობითი სეგმენტი. სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელისა და თანახელმძღვანელის შერჩევის პროცესს უხელმძღვანელებს მმართველი კომისია.

რეკომენდაცია N3 (კომპონენტი 4.4 - მატერიალური რესურსები)
რეკომენდებულია, პროგრამის დაწყებამდე პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული შესაბამისობა ინსტიტუციურ ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში არსებულ რესურსებთან. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები უნდა შეივსოს სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით, ან სილაბუსები უნდა გადაიხედოს ისე, რომ მოთხოვნილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის.

ინსტიტუციური პოზიცია: პროგრამის მხარდამჭერმა კომიტეტმა გადაამოწმა და შეაფასა აკრედიტაციის ვიზიტისას ბიბლიოთეკაში დაუფიქსირებელი სასწავლო ლიტერატურის ერთეულები, რაც რეალურად მოქმედი პროგრამის შემთხვევაში წელიწადში ორჯერ მონიტორინგის თემაა ინსტიტუციებისთვის. ზემოხსენებული აქტივობა ასევე ეხება სააკრედიტაციოდ წარმოდგენილ პროგრამას მით უფრო, რომ დარგი ახალია და სრულიად განვითარების პროცესში, რაც თავისთავად გულისხმობს პერმანენტულად მზარდ კვლევებს და თან ინტერდისციპლინურად, რისი სასწავლო პროცესში გადმოტანისა და ასახვის პასუხისმგებლობის ვალდებულება მუდმივად დგას მაგისტრატურის საფეხურის სასწავლო პროგრამებში.
ამასთან დამატებით უნდა განიმარტოს, რომ სამივე ინსტიტუციას აქვს ბიბლიოთეკის ელექტრონული ცენტრალური კატალოგი (რომელიც ფარავს როგორც საფაკულტეტო ბიბლიოთეკებს, ისე საუნივერსიტეტო სამეცნიერო და ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკების ქსელს), რაც საშუალებას აძლევს დაინტერესებულ პირს მოიძიოს სასურველი ლიტერატურა ქსელურად და მიიღოს პარტნიორი დაწესებულებიდანაც მატერიალური ან ელექტრონული ფორმით, ვინაიდან დაწესებულებებს შეძენილი აქვს (საავტორო უფლებების დაცვით) სახელმძღვანელოების ელ. ვერსიები და მათზე წვდომა აქვს უნივერსიტეტის თითოეულ სტუდენტს, რეგისტრაციის გზით."

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრმა, ქეთევან ნანობაშვილმა კითხვით მიმართა ექსპერტებს სტანდარტის 4.4 კომპონენტთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციასთან დაკავშირებით. მან აღნიშნა, რომ არგუმენტირებულპოზიციაში ცოტა გაურკვევლად იყო მითითებული ლიტერატურის საკითხი, შესაბამისად მას აინტერესებდა ექსპერტების პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.

ექსპერტმა, თამთა წირქვაძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე ლიტერატურა ვერ ნახეს ექსპერტებმა ბიბლიოთეკის დათვალიერების დროს. ექსპერტებმა ვიზიტის დროს მოითხოვეს ერთ-ერთი წიგნი, რომელიც ადგილზე არ იყო, თუმცა ჰქონდათ ელექტრონული ვერსია, რაც შემდგომ გაირკვა. ახალ დოკუმენტაციაში უკვე ყველაფერი შესწორებულია.

დაწესებულების წარმომადგენელმა ნინო შატბერაშვილმა განმარტა, რომ სხვადასხვა ლიტერატურა სხვადასხვა საბიბლიოთეკო ქსელში იყო მოთავსებული, ხოლო რეკომენდაციის საფუძველზე, დაწესებულებამ კონსოლიდაცია მოახდინა ლიტერატურის და ეს ნაწილი მოწესრიგდა.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, სტუდენტს თუ ჰქონდა წვდომა ყველა იმ სახელმძღვანელოზე, რომელიც სხვა ინსტიტუციაში ინახება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო მოდებაძემ აღნიშნა, რომ არსებობს საბიბლიოთეკო გაერთიანება და ელექტრონულადაც რომ არ იყოს შესაძლებელი მოთხოვნილი წიგნის გადაგზავნა და არსებობდეს მხოლოდ ერთ ბიბლიოთეკაში, ოპერატიულად მოხდება მისი გაციფრულება და გადაგზავნა.

სხდომის თავმჯდომარემ, ციური დურულმა კითხვით მიმართა ექსპერტებს, მას აინტერესებდა ნაშრომის ხელმძღვანელებთან მიმართებით გაცემულ რეკომენდაციას ხომ არ ჰქონდა რჩევის ხასიათი.

ექსპერტმა, თამთა წირქვაძემ განმარტა, რომ პროგრამის განხორციელებაში ჩართულია კვალიფიციური პერსონალი, თუმცა ზოგიერთ მათგანს არ აქვს ის კვალიფიკაცია, რომ დამოუკიდებლად შეძლონ სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელობა. ამასთან, აუცილებელია, დაკონკრეტდეს ხელმძღვანელების ზუსტი რაოდენობა.

სხდომის თავმჯდომარემ, ციური დურულმა კითხვით მიმართა დაწესებულებას. მას აინტერესებდა რას მოუტანდა ახალი პროგრამა ქართულ საგანმანათლებლო სისტემას.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ქიმერიძემ აღნიშნა, რომ ამ მოცემულობით ქართულ საგანმანათლებლო სივრცეში არ არსებობს მსგავსი პროგრამა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშთა კეთილდღეობაში, ბავშვთა დაცვასა და უსაფრთხოებაში არის გარკვეული ჩავარდნები. ბავშვთა უფლებები ისწავლება სხვადასხვა დაწესებულებაში, თუმცა ძალიან მცირე რაოდენობით. აღსრულების ნაწილი რომ ეფექტიანი იყოს, საჭიროა, უფრო ღრმა ცოდნა ბავშვის უფლებებთან დაკავშირებით. აღნიშნულ პროგრამას კი აქვს ამ საკითხის დეფიციტის შევსების პოტენციალი.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესებდა, თუ რატომ გადაწყდა აღნიშნული პროგრამის განხორციელება ერთობლივად და რატომ არ ხორციელდება ინდივიდუალურად უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ ბავშვთა საკითხები ოდნავ განსხვავებულია სამივე რეგიონში და ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია სპეციალისტების დაბალანსებული ბაზა, რათა სამივე უნივერსიტეტს შეეძლოს თანაბარი კონტინგენტით კურსდამთავრებულების მომზადება. ასევე, სამივე უნივერსიტეტში არის ბავშვთა უფლებების ცენტრები გაეროს ბავშვთა ფონდის მხარდაჭერით და ამ ცენტრების ბაზის ნაკრებიც იქნება დამხმარე სტუდენტისა თუ დაწესებულებისთვის.

საბჭოს წევრი, ელიზბარ ელიზბარაშვილი დაინტერესდა, სტუდენტი მთელ სწავლის პერიოდს ერთ უნივერსიტეტში ატარებს თუ უწევს სხვა უნივერსიტეტებში გარკვეული პერიოდის გატარება.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო შატბერაშვილმა აღნიშნა, რომ სტუდენტი სადაც ირიცხება იქ ატარებს სასწავლო წელს.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 14:42
დასრულების დრო: 15:00

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვის უფლებების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის საკითხი კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 10
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება:
„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 66-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის "ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-4 პუნქტების, „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, მე-3 და მე-8 პუნქტების, აკრედიტაციის დებულების 27^{2}მუხლის პირველი პუნქტის, 27^{5} მუხლი ს პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და მე-5 პუნქტის, 27^{6}მუხლის პირველი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №223 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, სსიპ - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და სსიპ - იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბავშვის უფლებების" ერთობლივი სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამას მიენიჭოს აკრედიტაცია კლასტერის ვადით, 2028 წლის 31 დეკემბრამდე.

დაწესებულებას საბჭომ შესასრულებლად განუსაზღვრა დასკვნაში ასახული ის რეკომენდაციები, რომლებიც გაიზიარა საბჭომ. ასევე, დაწესებულება უფლებამოსილია გაითვალისწინოს საბჭოს მიერ განსაზღვრული რჩევები.

საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციები და რჩევები მოცემულია აკრედიტაციის ექსპერტთა დასკვნაში.

დაწესებულების მიერ გასათვალისწინებელი იქნება ასევე, საბჭოს მიერ განხორციელებული ცვლილებები აკრედიტაციის ექსპერტთა რეკომენდაციებსა და რჩევებში.

„სააკრედიტაციო განაცხადის, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნისა და ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის პროექტზე აკრედიტაციის მაძიებლის მიერ ცენტრისთვის წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიციის, ასევე, სხდომაზე დაინტერესებული მხარის ზეპირი პოზიციის მოსმენის საფუძველზე, საბჭომ ნაწილობრივ გაიზიარა ექსპერტთა დასკვნაში ასახული შეფასება და განახორციელა შემდეგი ცვლილებები:

საბჭომ სტანდარტის 4.2. კომპონენტთან მიმართებით გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, პროგრამის ხელმძღვანელობამ გადახედოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა სიას და რაოდენობას და საფუძვლიანად გაანალიზოს პროგრამის აკადემიური პერსონალის პროფილები და CV-ები. რეკომენდებულია, სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელობის უფლება მიენიჭოთ მხოლოდ იმ პირებს, რომელთა აკადემიური კვალიფიკაცია და უახლესი სამეცნიერო საქმიანობა მკაფიოდ შეესაბამება ბავშვის უფლებების სფეროსა და კონკრეტულ საკვლევ თემას.", გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით:
"სასურველია, სასურველია ინსტიტუციამ უზრუნველყოს სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელებად კვლევაში აქტიურად ჩართული აკადემიური კვალიფიკაციის მქონე პირების შერჩევა.", შედეგად სტანდარტის 4.2 კომპონენტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".
საბჭომ სტანდარტის 4.4. კომპონენტთან გაცემული რეკომენდაცია: "რეკომენდებულია, პროგრამის დაწყებამდე პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული შესაბამისობა ინსტიტუციურ ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში არსებულ რესურსებთან. საჭიროების შემთხვევაში, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები უნდა შეივსოს სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურით, ან სილაბუსები უნდა გადაიხედოს ისე, რომ მოთხოვნილი ლიტერატურა სრულად ხელმისაწვდომი იყოს სტუდენტებისთვის", გადაიტანა რჩევებში შემდეგი ფორმულირებით:
"სასურველია, პროგრამის დაწყებამდე პარტნიორმა უნივერსიტეტებმა უზრუნველყონ სასწავლო კურსის სილაბუსებში მითითებული ლიტერატურის სრული შესაბამისობა ინსტიტუციურ ბიბლიოთეკებსა და ელექტრონულ ბაზებში არსებულ რესურსებთან".
შედეგად, სტანდარტის 4.4 კომპონენტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან". აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით მე - 4 სტანდარტი, ნაცვლად, "მეტწილად შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან", განისაზღვრა, როგორც "შესაბამისობაშია აკრედიტაციის სტანდარტის მოთხოვნებთან".

პირველი საკითხის განხილვის შემდეგ საბჭოს სხდომა დატოვა ვაჟა კელიხაშვილმა.

აკრედიტაციის დებულების 27[2]-ე მუხლის მე - 4 პუნქტის საფუძველზე, მოცემულ საკითხთან დაკავშირებით სხდომის მდივნის მოვალეობა შეასრულა ქეთევან ნანობაშვილმა.

მეორე საკითხი: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე განხორციელებული არაგეგმიური მონიტორინგის შედეგების განხილვა („ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენა)

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ჟურნალისტიკა და მასობრივი კომუნიკაცია
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ჟურნალისტიკის ბაკალავრი

დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:0321 ჟურნალისტიკა და რეპორტიორობა
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ დიახ

თვითაცილება განაცხადა მაქსიმ იავიჩმა. თვითაცილების საფუძველს წარმოადგენდა შრომითი ხელშეკრულების არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას, აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნასა და საგანმანათლებლო პროგრამის ექსპერტთა დასკვნის პროექტზე დაწესებულების მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მასალებს. საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნას.
საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა ცენტრის თანამშრომელს დაედასტურებინა, რომ სხდომას ესწრებოდნენ დაწესებულების წარმომადგენლები და ექსპერტები. ცენტრის წარმომადგენელმა დაადასტურა აღნიშნული პირების დასწრება.

მეორე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, მაგდა მემანიშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამამ აკრედიტაცია გაიარა 2019 წლის 26 ივნისს. გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შემოწმება ეხებოდა „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან" და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან" შესაბამისობის დადგენის საკითხს. მისანიჭებელი კვალიფიკაცია იყო „სოციალურ მეცნიერებათა ბაკალავრი მასობრივ კომუნიკაციაში", ჩარჩოს მიხედვით ახალი მისანიჭებელი კვალიფიკაცია გახდა „ჟურნალისტიკის ბაკალავრი". ექსპერტებს პროგრამასთან მიმართებით რეკომენდაციები და შენიშვნები არ ჰქონიათ, თუმცა იყო რჩევები. შესაბამისობაში მოყვანის პროცესში, პროგრამის მიზანი და სტრუქტურა არ შეცვლილა. შეიცვალა მხოლოდ სწავლის შედეგები. პროგრამის მიზანი არის ნათელი, მკაფიოდ ჩამოყალიბებული, რეალისტური და სრულიად თანხვედრაშია უნივერსიტეტის მისიასთან. სწავლის შედეგების რეფორმირების შედეგად გამოყენებულია სათანადო ზმნები და შეიძლება ითქვას, რომ რვავე სწავლის შედეგი არის გაზომვადი, მიღწევადი და სრულიად შესაბამისობაშია ახალი ჩარჩოს მე-6 საფეხურთან. სწავლის შედეგებიდან ცხადი ხდება, რომ პროგრამა ამზადებს სხვადასხვა ტრადიციულ თუ არატრადიციულ მეთოდებზე მორგებულ ჟურნალისტებს, ფართო გაგებით, კონტენტკრეატორებს. სწავლის ძირითადი სფეროს წილი 240 კრედიტიდან არის 156 კრედიტი, ხოლო ძირითადი სფეროს სავალდებულო არჩევითი კურსები არის 50 ან 40 კრედიტი, იმ შემთხვევაში თუ სტუდენტს აქვს ინგლისურში არასათანადო დონე და სჭირდება მისი ამაღლება. ჯამურად 196-დან 156 კრედიტამდე ეთმობა სწავლის ძირითად სფეროს. პროგრამა არ ითვალისწინებს საბაკალავრო ნაშრომის მომზადებას, რაც ექსპერტთა აზრით, მართებულია. შენიშვნები არ ყოფილა არც სილაბუსებთან მიმართებით, რადგან ათვისებადი, დაძლევადი და

სრულყოფილია მასალის მხრივ. მეთოდოლოგია არის მრავალფეროვანი. რაც შეეხება ადამიანურ რესურსებს, ის 2019-დან 2024 წლამდე საკმაოდ გაიზარდა და დღეს დაწესებულებას ჰყავს 5 აფილირებული პროფესორი, 6 ასოცირებული პროფესორი და 31 მოწვეული პედაგოგი.

სხდომის თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტებსა და საბჭოს.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:11
დასრულების დრო: 15:22

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება შეწყვეტის და „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორთან“ შესაბამისობაში მოყვანის საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0
გადაწყვეტილება:
აკრედიტაციის დებულების 27[2] მუხლის პირველი პუნქტის, 31-ე მუხლის 25-ე პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის საქმისწარმოების წესისა და შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ „სსიპ - განათლების ხარისხის „განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2011 წლის 01 ივნისის №233 ბრძანების მე-8 მუხლისა და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, შეწყდეს შპს კავკასიის უნივერსიტეტის "ჟურნალისტიკისა და მასობრივი კომუნიკაციის" საბაკალავრო საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის არაგეგმიურ მონიტორინგთან დაკავშირებით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოება და მიჩნეულ იქნეს, რომ საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანებით დამტკიცებულ „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა“ და „სწავლის სფეროების კლასიფიკატორს“.

მეორე საკითხის დასრულების შემდგომ საბჭოს სხდომა დატოვა მაქსიმ იავიჩმა.

მესამე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "აჯარო მმართველობის" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:საჯარო მმართველობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 180

სტატუსი: აკრედიტებული

მეოთხე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:საჯარო მმართველობა
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: საჯარო მმართველობის ბაკალავრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 240
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა

საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მ ა ს ა ლ ე ბ ს .
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ვინაიდან სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე ანგარიში განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მესამე და მეოთხე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა ნინო ფარსადანიშვილმა აღნიშნა, რომ ორივე პროგრამაზე გაცემული რეკომენდაციები სრულად იქნა შესრულებული დაწესებულების მხრიდან. 180 კრედიტიან პროგრამაზე გაიცა ჯამში 10 რეკომენდაცია, აქედან 6 კლასტერის და 4 ინდივიდუალური პროგრამის ნაწილში, რეკომენდაციები ძირითადად შეეხებოდა პირველ, მეორე და მეხუთე სტანდარტებს. დაწესებულებამ გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია და მოხდა არჩევითი და სავალდებულო კრედიტების გადანაწილება, სწავლის შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა, სავალდებულო სასწავლო კურსად შემოიღო სახელმწიფო ენა და ასევე დაამატა 2 არჩევითი კურსი „სამეწარმეო სამართალი" და „საგადასახადო სამართალი". დაწესებულებამ დააკორექტირა სასწავლო ლიტერატურა და სწავლა სწავლების შეფასების მეთოდები. შესაბამისად, სრულად შეასრულა ყველა რეკომენდაცია. ანალოგიური სიტუაციაა 240 კრედიტიან პროგრამასთან მიმართებით.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ აღნიშნულ პროგრამებს კიდევ ემატება ბიზნესის ადმინისტრირების 2 პროგრამა. დაწესებულებამ სამივე მიმართულებით იმუშავა. რეკომენდაციები სრულად არის შესრულებული. ამ ყველაფერმა გამოიწვია ინსტიტუციის დონეზე ზოგიერთი პროგრამის ცვლილებაც, მაგალითად სწალის შედეგების შეფასების რეკომენდაციის მიხედვით გადაეწყო სხვა პროგრამები. ამასთან საჭირო იყო ეს პროგრამა აქტიურ სტუდენტებს ისე დაემთავრებინათ, რომ არცერთ მათგანს არ შექმნოდა პრობლემები.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს წევრებს შეკითხვები არ ჰქონდათ.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:28
დასრულების დრო: 15:32

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტის საფუძველზე,სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (180 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე,სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "საჯარო მმართველობის" (240 კრედიტიანი) საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეხუთე საკითხი: სსიპ - სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: ბაკალავრიატი
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი: მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 180
სტატუსი: აკრედიტებულ

მეექვსე საკითხი: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა:

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ არა

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშებს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მ ა ს ა ლ ე ბ ს .
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს. წარმომადგენელ(ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნებს.

ვინაიდან, სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი ანგარიშები შეისწავლა ერთმა ექსპერტმა, საბჭომ გადაწყვიტა ორივე ანგარიში განეხილა ერთი მოსმენის ფარგლებში.

მეხუთე და მეექვსე საკითხების ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტთა ჯგუფს წარმოედგინათ მათი პოზიცია.
ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ჯამში 6 კლასტერული რეკომენდაცია იყო გაცემული და 2 პროგრამული. დაწესებულების მხრიდან ყველა რეკომენდაცია შესრულებულია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა მადლობა გადაუხადა ექსპერტს და საბჭოს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდოარემ, ლევან შავაძემ აღნიშნა, რომ სტანდარტის 1.5 კომპონენტთან გაცემულია კლასტერული რეკომენდაცია, სადაც შეფასება ცოტა ბუნდოვანია. მას ექსპერტის მოსაზრება აინტერესებდა აღნიშნულთან დაკავშირებით.
ექსპერტმა, ვასილ კიკუტაძემ აღნიშნა, რომ ეს რეკომენდაცია იყო საჯარო მმართველობის პროგრამაზე გაცემული, და დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:35
დასრულების დრო: 15:37

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე,სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 13
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე,სსიპ - სამცხე - ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მეშვიდე საკითხი: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ფინანსები
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი ფინანსებში
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:ფინანსები, საბანკო საქმე და დაზღვევა 0412
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120

სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა დავით კაპანაძემ. თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

საბჭოს თავმჯდომარემ საბჭოს წევრებს მიმართა დაედასტურებინათ, რომ იცნობდნენ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ ანგარიშს და აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. საბჭოს წევრებმა დაადასტურეს, რომ იცნობდნენ საქმის მ ა ს ა ლ ე ბ ს .
საბჭოს თავმჯდომარემ ჰკითხა დაინტერესებული მხარის (საგანმანათლებლო დაწესებულების) წარმომადგენელს, იცნობდა თუ არა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას. დაწესებულების წარმომადგენელ (ებ)მა დაადასტურა, რომ იცნობდ(ნენ)ა აკრედიტაციის ექსპერტის დასკვნას.

მეშვიდე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა პოზიცია.

ექსპერტმა ეკა გეგეშიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა ყველა რეკომენდაცია.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა სოფო ხუნდაძემ მადლობა გადაუხადა ექსპერტებს გაწეული შრომისთვის.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს კითხვები არ ჰქონდა.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:40
დასრულების დრო: 15:44

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:
მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე,შპს ევროპის ცენტრალური უნივერსიტეტის "ფინანსების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

მერვე საკითხი: შპს ალტე უნივერსიტეტის "ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიშის განხილვა;

საგანმანათლებლოპროგრამისდასახელება:ბიზნესის ადმინისტრირება
საფეხური: მაგისტრატურა
მისანიჭებელიკვალიფიკაცია: ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი
დეტალურისფეროსდასახელებადაკოდი:მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
სწავლებისენა: ქართული
კრედიტებისრაოდენობა: 120
სტატუსი: აკრედიტებული

საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საბჭოს წევრ(ებ)ის აცილება
√ არა
საბჭოს წევრ(ებ)ის თვითაცილება
√ კი

თვითაცილება განაცხადა მზია წიკლაურმა. თვითაცილების მიზეზს წარმოადგენდა შრომითი ურთიერთობის არსებობა დაწესებულებასთან.

მერვე საკითხის ზეპირი მოსმენა
ექსპერტების პოზიციის განხილვა
საბჭოს თავმჯდომარემ სთხოვა ექსპერტს წარმოედგინა მისი პოზიცია.
ექსპერტმა, ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ პროგრამასთან მიმართებით გაცემული იყო 8 რეკომენდაცია, რომელთაგან ყველა შესრულებულია, მეტწილად შესრულებულია 2 რეკომენდაცია, თუმცა უნოვერსიტეტის მხრიდან წარმოდგენილი დასკვნის საფუძველძე შესაძლოა საბჭომ იმსჯელოს აღნიშნული რეკომენდაციების შესრულებასთან დაკავშირებით. მაგალითად, მეხუთე რეკომენდაცია დაკავშირებულია დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პერსონალის გაზრდასთან და აკადემიური პერსონალის გაძლიერებასთან, პირველი კონკურსის საფუძველზე 2 აკადემიური პერსონალი დაემატა, თუმცა უნივერსიტეტმა ჩათვალა, რომ ეს არ იყო საკმარისი და 5 დეკემბერს გამოაცხადა კონკურსი მიღებასთან დაკავშირებით. რაც შეეხება მეორე რეკომენდაციას, ინსტიტუციამ წარმოადგინა ინფორმაცია თუ როგორ ახდენს მაგისტრატურისა და დოქტორანტურის ხელმძღვანელების შეფასებას, მათ შორის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითქვის საფუძველზე, თუმცა წინა წარმოების დოკუმენტაციებიდან გამომდინარე იქ აქცენტი კეთდება პროგრამის ხელმძღვანელების საქმიანობის მონიტორინგზე.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა დაწესებულების წარმომადგენლებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
დაწესებულების წარმომადგენელმა, ნინო ალავიძემ აღნიშნა, რომ პირველი რეკომენდაციისთვის, რომელიც ეხება დოქტორის ხარისხის მქონე აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას, გასული წლის დეკემბერში გამოცხადდა კონკურსი და ამის საფუძველზე გაზრდილია აფილირებული პერსონალის რაოდენობა 2024 წელთან მიმართებით და არსებული მდგომარეობით, პროგრამაზე არის 6 აფილირებული პერსონალი. თუმცა ეს არის

მუდმივი პროცესი. უნივერსიტეტში, როდესაც შემუშავდა ახალი სასწავლო გეგმა 2024-2030 წლის ფარგლებში სტრატეგიული გეგმა მოიცავდა აფილირებული პერსონალის ზრდას, რის საფუძველზეც დაწესებულებაში შემუშავდა აფილირების 2 მოდელი და დაიწყო მისი დანერგვა ეტაპობრივად და ამ ეტაპზე აფილირებული პერსონალის ზრდა არის 25%. რაც შეეხება სტანდარტის 5.3 კომპონენტთან გაცემულ რეკომენდაციას, აღნიშნულთან მიმართებით დაწესებულება მიიჩნევს, რომ არის გარკვეული უზუსტობა, რადგან შეფასების ნაწილში მოცემულია აღწერითი ნაწილი. დასკვნა, რომელიც 2024 წლის ინგლისურენოვანი დასკვნა, რომელიც ექსპერტებმა მოამზადეს ცალსახად ამბობს რომ რეკომენდაცია ეხება სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელს. აღნიშნულ პროგრამებს ჰყავთ ერთი პროგრამის ხელმძღვანელი, რადგანაც ინგლისურ ვერსიაში ნახსენებია ხელმძღვანელები დოკუმენტაცია მომზადდა ნაშრომის ხელმძღვანელებზე და არა პროგრამის ხელმძღვანელზე. როგორც უკვე აღინიშნა, ხდება სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ნაშრომის ხელმძღვანელების შეფასება. მუდმივად ტარდება ნაშრომის ხელმძღვანელების მხარდაჭერა კოლეგების მხრიდან ურთიერთგაზიარების შესაძლებლობების შეთავაზებით, დაწესებულებას აქვს ტრენინგები და ვორქშოფები, სადაც აქტიურად არის ჩართული ნაშრომის ხელმძღვანელი. სამაგისტრო ნაშრომის სილაბუსში მეშვიდე კვირაში სტუდენტების მხრიდან შუალედურად განისაზღვრა პირველადი შედეგების წარდგენის ვალდებულება, შესაბამისად, ამით უზრუნველყო დაწესებულებამ ნაშრომის ხელმძღვანელების ჩართულობა არ ყოფილიყო სემესტრის ბოლოს. აღნიშნულიდან გამომდინარე დაწესებულება მიიჩნევს, რომ მან ეს რეკომენდაცია შეასრულა.

დაწესებულების წარმომადგენელმა, ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ უნივერსიტეტის პოზიცია სრულად იყო წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. უნივერსიტეტი ძალიან ბევრი მიმართულებით აგრძელებს სწავლას და ეს 2 მიმართულება არის სწავლა/სწავლების ინტენსიური ინტეგრაცია და ამ მიმართულებით მთელი რიგი აქტივობები უკვე დაგეგმილია და ხორციელდება. აფილირებული პერსონალის ზრდის მიზნით უნივერსიტეტში არსებობს სპეციალური სტრატეგია და უნივერსიტეტი აგრძელებს კონკრეტული მიმართულებით ახალი პერსონალის მოზიდვას და შენარჩუნებას.

საბჭოს თავმჯდომარემ მიმართა საბჭოს წევრებს წარმოედგინათ მოსაზრებები.
საბჭოს თავმჯდომარემ, ლევან შავაძეს მეორე რეკომენდაციის შეფასებასთან დაკავშირებით აინტერესებდა ექსპერტის მოსაზრება.
ექსპერტმა ეკა ლეკაშვილმა აღნიშნა, რომ სამაგისტრო ნაშრომის შუალედური წარდგენის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სილაბუსში, თუმცა ვერ მოიძებნა სამაგისტრო ნაშრომის მომზადების და დაცვის წესში.
დაწესებულების წარმომადგენელმა ირმა გრძელიძემ აღნიშნა, რომ რეკომენდაცია ეხებოდა სამაგისტრო პროგრამას ბიზნეს ადმინისტრირებაში, თუმცა აღნიშნულ პრაქტიკას დაწესებულება გაითვალისწინებს მეორე სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაშიც. სწორედ ახლა მიმდინარეობს სამაგისტრო წესის დამტკიცების განახლება პროგრამაში და ეს იქნება თავსებადი სილაბუსთან მიმართებით.

სხდომაზე გამოცხადდა სათათბირო შესვენება
დაწყების დრო: 15:59
დასრულების დრო: 16:05

საბჭოს თავჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა: შპს ალტე უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი ანგარიშის ცნობად მიღების საკითხი.

კენჭისყრის შედეგი:

მომხრე - 12
წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება: აკრედიტაციის დებულების 27[6]- ე მუხლის მე - 2 პუნქტისა და მე-2[11] პუნქტი ს საფუძველზე, შპს ალტე უნივერსიტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების" სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე წარმოდგენილი რეკომენდაციების შესრულების შესახებ ანგარიში საბჭოს მიერ ცნობად იქნა მიღებული.

დღის წესრიგით გათვალისწინებული ყველა საკითხის განხილვის შემდეგ, საბჭოს სხდომა დასრულდა 16:06 საათზე.

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭო
სხდომის მდივანი
ნანობაშვილი ქეთევან

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს
სხდომის მდივანი
დურული ციური

საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის
საბჭოს
მდივანი
კელიხაშვილი ვაჟა

საგანმნათლებლო პროგრამების აკრედიატციის საბჭო
თავმჯდომარე
ლევან შავაძე